დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32

2023 წლის 28 ნოემბერი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ “დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 დეკემბრის №74 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17.12.2014; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 270070000.35.156.016192) და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1

განისაზღვროს საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ყოველთვიური ხარჯის ოდენობა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით”.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**